8

გეოგრაფია

მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი

სახელი _____

გვარი _____

ქალაქი/სოფელი _____

სკოლა _____

კლასი _____

დამატებითი სავარჯიშოების რვეული

სულაკაურის
გამომცემლობა

სამხრეთი ამერიკა

I.

დააკავშირე ერთმანეთთან:

სამხრეთ ამერიკის გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებები და სურათები:

გეოგრაფიული ობიექტები:	სურათები:
ა. მდინარე ამაზონი	**1.** N 1
ბ. პატაგონია	**2.** N 2
გ. ატაკამის უდაბნო	**3.** N 3
დ. ანდები	**4.** N 4

1	2	3	4

II.

უპასუხე კითხვებს „კი“ ან „არა“:

დებულება	კი	არა
1. სამხრეთ ამერიკას ხმელთაშუა ზღვა ესაზღვრება.		
2. კონტინენტზე კეიპ-იორკის ნახევარკუნძული მდებარეობს.		
3. ანაკონდა სელვაში ბინადრობს.		
4. დედამიწის ყველაზე დიდი უდაბნო სამხრეთ ამერიკაშია.		
5. პამპა მაღალბალახეული სტეპია.		
6. ამაზონის დაბლობის დიდი ნაწილი კამპოსს უკავია.		
7. „გუანკო“ სპილენძის მადნის ადგილობრივი სახელწოდებაა.		
8. რიო-დე-ჟანეირო არგენტინის დედაქალაქია.		
9. ლიანოსი ბრაზილიის ზეგანზეა.		
10. კონტინენტს სახელი კოლუმბმა დაარქვა.		
11. იგუასუს ჩანჩქერი ბრაზილიის ზეგანზეა.		
12. ატლანტის ოკეანეს უფრო მეტი ნალექი მოაქვს, ვიდრე წყნარ ოკეანეს.		
13. კარიბის ზღვა კონტინენტს სამხრეთიდან ესაზღვრება.		
14. ანდები კონტინენტის აღმოსავლეთით მდებარეობს.		
15. სამხრეთ ამერიკის ყველაზე დიდი კუნძული ცეცხლოვანი მიწაა.		
16. სამხრეთ ამერიკის სავანებში სპილოები ბინადრობენ.		
17. ატაკამა ყველაზე ცხელი უდაბნოა არა მარტო კონტინენტზე, არამედ დედამიწაზეც.		
18. პატაგონია კონტინენტის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს.		
19. ბრაზილია ყავის სამშობლოა.		
20. პერუს სანაპიროს კოსტა ჰქვია.		
21. ამაზონი დედამიწის ყველაზე წყალუხვი მდინარეა.		

III.

დაადგინე:

1. გეოგრაფიული ობიექტები მოცემული გეოგრაფიული კოორდინატების მიხედვით:

ა. დ.გ. 60^0 და ს.გ. 3^0 _____

ბ. დ.გ.65^0 და ს.გ. 7^0 _____

გ. დ.გ. 69^0 და ს.გ.16^0 _____

დ. დ.გ. 60^0 და ს.გ. 31^0 _____

2. სამხრეთ ამერიკის რომელი რეგიონის კლიმატისთვისაა დამახასიათებელი კლიმატურ დიაგრამაზე მოცემული მონაცემები. პასუხი დაასაბუთე.

ა. ბრაზილიის ზეგანი;
ბ. ატაკამის უდაბნო;
გ. პატაგონიის ზეგანი;
დ. ლა-პლატის დაბლობი.



3. რომელი ბუნებრივი ზონიდან რომელ ბუნებრივ ზონაში გადავა მოგზაური, თუ იგი სამხრეთ ამერიკის კარტოსქემაზე აღნიშნული A–B მარშრუტით მოძრაობს.



4. სამხრეთ ამერიკის რომელ კლიმატურ სარტყელს შეესაბამება მოცემული კლიმატური დიაგრამები:



ა ბ გ დ

_____

_____

_____

_____

5. რომელი მდინარეა გამოსახული რუკაზე და რომელი მსჯელობაა მართებული მის შესახებ.

ა. მდინარის სათავე ბრაზილიის ზეგანზე მდებარეობს;
ბ. მიედინება ეკვატორულ, სუბეკვატორულ და ტროპიკულ კლიმატურ სარტყლებში;
გ. მდინარეში წყლის დონე დეკემბერ-თებერვალში მატულობს;
დ. მასზე ჰიდროელექტროსადგური იტაიპუ მდებარეობს;
ე. ყველაზე წყალუხვი მდინარეა დედამიწაზე;
ვ. მიეკუთვნება წყნარი ოკეანის აუზს.



_____

6. რუკის დახმარებით მოძებნე ჩამონათვალიდან რომელია მდინარე ამაზონის მარჯვენა შენაკადები: ტაპაჟოსი, შინგუ, ტოკანტინსი, ჩურუნი, პარანაიბა, რიუ-ნეგრუ, მადეირა, ჟურუა, პურუსი, პუტუმაიო, ჟაპურა.

_____

_____

_____

7. რომელი ცხოველების გავრცელების არეალებია აღნიშნული რუკებზე მწვანე ფერით?

1

2

1 _____ 2 _____

8. სამხრეთ ამერიკის რომელი ბუნებრივი ზონებია მოცემული სურათებზე:

1

2

3

4

1 _____

2 _____

3 _____

4 _____

9. რომელ კლიმატურ სარტყელზე ვსაუბრობთ, თუ ამ კლიმატურ სარტყელში მთელი წელი – ზამთარ-ზაფხულ – ჰაერის ტემპერატურა +24°, +27°-ია და ნალექებიც მთელი წლის განმავლობაში მოდის? ამასთან ამ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს ორინოკოს დაბლობი და ბრაზილიის ზეგანი.

1 _____

2 _____

IV.

ახსენი:

1. როგორ ფიქრობ, რატომ იკვლევდნენ სამხრეთ ამერიკას უფრო ნაკლებად, ვიდრე აფრიკას?

2. სამხრეთ ამერიკის რომელი რეგიონები იღებენ მზის ენერგიის მაქსიმალურ რაოდენობას და რატომ?

3. რატომ აღინიშნება კონტინენტის ვაკეებში მნიშვნელოვანი ტემპერატურული კონტრასტები?

4. შენი აზრით, როგორ შეიცვლებოდა სამხრეთ ამერიკის კლიმატი:

ა. ეკვატორი შუაზე რომ კვეთდეს კონტინენტს?

ბ. ანდების მთები აღმოსავლეთით რომ მდებარეობდეს?

_____

_____

_____

გ. ანდების მთები საერთოდ რომ არ არსებობდეს?

_____

_____

_____

5. რომელი ოკეანის აუზს მიეკუთვნება სამხრეთ ამერიკის მდინარეთა უმეტესობა და რატომ?

_____

_____

_____

6. რატომ გადის თოვლის ხაზი ანდების მთების დასავლეთ ფერდობების 50°-იან განედზე 3000 მ-ზე დაბლა, ვიდრე 20°-იან განედზე. დაასახელე ორი მიზეზი.

_____

_____

_____

7. **უპასუხე კითხვებს:**

ა. რა განსხვავებაა სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ბუნებრივი ზონების განლაგებას შორის და რითაა ეს გამოწვეული?

_____

_____

_____

ბ. რომელი კონტინენტის – აფრიკისა თუ სამხრეთ ამერიკის – კლიმატია უფრო მრავალფეროვანი და რატომ? დაასაბუთე შენი მოსაზრება.

გ. რატომ მოდის სამხრეთ ამერიკის ეკვატორულ სარტყელში უფრო მეტი ნალექი, ვიდრე აფრიკის ამავე სარტყელში?

დ. რა კავშირია რეზინის ბურთს, პომიდორს, ლობიოს, შოკოლადის ფილასა და კარტოფილს შორის?

8. ფრანგი მწერლის, ჟიულ ვერნის სათავგადასავლო რომანის „15 წლის კაპიტნის“ გმირმა დიკ სენდმა კონტინენტზე ჟირაფი, სპილო, ჰიპოპოტამი და ბუზი ცეცე ნახა. რატომ დაეჭვდა იგი, რომ მისი ექსპედიცია ნამდვილად სამხრეთ ამერიკაში იმყოფებოდა?

9. რატომ ირჩევდნენ ესპანელი კონკისტადორები სამხრეთ ამერიკაში საცხოვრებლად ძირითადად მთებს და არა სანაპირო რაიონებს?

V.

გეოგრაფიული ამოცანები:

1. თემატური რუკების გამოყენებით დაადგინე, რომელ ქვეყანასა და ქალაქში ჩავიდნენ ტურისტები, თუ ისინი ბუენოს-აირესიდან გამოფრინდნენ და 1110 კმ სამხრეთით იფრინეს, კიდევ 1110 კმ – ჯერ აღმოსავლეთით, შემდეგ იმდენივე კილომეტრი ჩრდილოეთით და ბოლოს დასავლეთით.

2. სურათზე ნაჩვენებ მთას შაქრისთავა მთა ჰქვია და ბრაზილიაში, რიო-დე-ჟანეიროში, გუანაბარის ყურის სანაპიროზე, ატლანტის ოკეანეში შეჭრილ პატარა ნახევარკუნძულზე მდებარეობს. მისი სიმაღლე 396 მეტრია.
როგორ ფიქრობ, რატომ ჰქვია ასე ამ მთას და რომელი გარეგანი ძალების ზემოქმედების შედეგად წარმოიქმნა იგი?

3. რელიეფის რომელ ფორმას აღწერს მწერალი არტურ კონან დოილი თავის რომანში „დაკარგული ქვეყანა“?

„მანამდე უნდა იარო გაუვალი და ხელშეუხებელი ტყეების დახლართულ გზებზე და გადალახო აზვირთებული მდინარეები, სანამ ჰორიზონტზე კოლოსალური ზომის

გადალახო აზვირთებული მდინარეები, სანამ ჰორიზონტზე კოლოსალური ზომის დაკიდებული კედელი არ გამოჩნდება. ამ უზარმაზარ პლატოს კლდეების მსგავს უზარმაზარ მწვერვალზე ჩვენი პლანეტის შორეული წარსულიდან შემორჩენილ მცენარეებსა და ცხოველებს შეხვდებით“.

4. **გამოიცანი, სამხრეთ ამერიკის რომელი კლიმატური სარტყლის აღწერილობაა მოცემული:**

ა. აქ ჰაერის მასები წლის განმავლობაში იცვლება: ზაფხულში გაბატონებულია ტენიანი ეკვატორული მასები, რომელთაც მოაქვთ უხვი ნალექი, ხოლო ზამთარში – მშრალი ტროპიკული ჰაერის მასები და ამ დროს წვიმა რამდენიმე თვის განმავლობაში არ მოდის. ამიტომ აქ მკვეთრად გამოხატული ორი სეზონი გამოიყოფა: ცხელი ტენიანი ზაფხული და ცხელი მშრალი ზამთარი.

ბ. ამ კლიმატურ სარტყელში მთელი წელი გაბატონებულია ცხელი და ტენიანი ჰაერის მასები, ამიტომ წლის განმავლობაში ჰაერის საშუალო ტემპერატურა მაღალია და დიდი რაოდენობით ნალექი მოდის.

გ. ტემპერატურა ზაფხულში +20^{0}C-ია, ზამთარში – +13^{0}C, ხშირია ნისლი, რომლისგანაც ნამი წარმოიქმნება. ნალექები იშვიათია, ზოგჯერ მთელი წლის განმავლობაში ერთი წვეთიც კი არ მოდის.

5. **აღწერილობის მიხედვით შეავსეთ ცხრილი: შესაბამის გრაფაში ჩაწერე „+“.**

ა. ამ ზონაში იზრდება ხე, რომელმაც სახელი მაგარი მერქნის გამო უწოდეს. ხის სახელი – კებრაჩო ასე ითარგმნება: გატეხე ნაჯახი.

ბ. ამ ზონაში მარადმწვანე, სახეობრივად ძალიან მრავალფეროვანი მცენარეები იარუსებად იზრდება. ისინი მთელი წელი ყვავიან და ნაყოფს იძლევიან;

გ. ამ ზონაში ბინადრობს პატარა ღორი – პეკარი;

დ. ამ ზონაში იზრდება მაღალი ბალახი;